

უძრავი ქონების ქალაქ ქუთაისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებად
დარეგისტრირების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად თვითმმართველ ერთეულს საკუთრებაში გადაეცემა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის მქონე შემდეგი სახის ძირითადი ქონება: გზები, ხიდები, გვირაბები, ქუჩები, მიწისქვეშა გადასასვლელები, ტროტუარები, შუქნიშნები, გარე განათების კონსტრუქციები, მოედნები, სკვერები, ბულვარები, შადრევნები, პარკები, მწვანე ნარგავები და ნაპირსამაგრი ნაგებობები.

აღნიშნულიდან გამომდინარე, „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“, „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლისა და „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. წარდგენილი იქნეს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში თვითმმართველობის საკუთრებაში დარეგისტრირების მიზნით, უძრავი ქონება - ქალაქი ქუთაისი, ჟ. შარტავას ქუჩა N1-ის დასავლეთით მდებარე ტროტუარი, ფართობით 485.0 კვ.მეტრი.

2. სარეგისტრაციო დოკუმენტაციის საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქუთაისის სარეგისტრაციო სამსახურში წარდგენის უფლებამოსილება მიენიჭოს ქ. ქუთაისის მერიის ადგილობრივი თვითმმართველობის ქონების მართვისა და პრივატიზების სამსახურის ქონების რეგისტრაციის განყოფილების წამყვან სპეციალისტს თეიმურაზ ერადეს (პირადი N60001079086).

3. ბრძანების შესრულების კონტროლი განახორციელოს ქ.ქუთაისის მერის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელმა კ.ქავთარაძემ.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქალაქ ქუთაისის საკრებულოსა /რუსთაველის გამზირი N3/ და ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვიქტორ კუპრამის ქუჩა N11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მერის
მოვალეობის შემსრულებელი

ნ.მიქიაშვილი